საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 01 მარტი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/27

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდების დაწესებისა და საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდება.

2. დამტკიცდეს თანდართული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების წესი" (დანართი).

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების წესსა და პირობებს.

2. საპატიო უნივერსიტეტელის წოდება შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან/და შრომითი ურთიერთობა აკავშირებს/აკავშირებდა უნივერსიტეტთან და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) განსაკუთრებული დამსახურება აქვს უნივერსიტეტის წინაშე;
ბ) განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი უნივერსიტეტის განვითარების საქმეში;
გ) უნივერსიტეტში ეწევა/ეწეოდა ხანგრძლივ და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას;
დ) თავისი საქმიანობით ან ქმედებით ხელი შეუწყო უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას ან კეთილდღეობის ზრდას.

3. საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს ან უნივერსიტეტის რექტორის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, კანდიდატურის წარდგინებიდან 2 კვირის ვადაში.

4. საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭების შესახებ წარდგინება და წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ამ წესის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პირობას მაინც.

5. საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭებაზე პირის წარდგენა ხდება ამ პირის სიცოცხლეში.

6. საპატიო უნივერსიტეტელის წოდებაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მოქმედი წევრის კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული წევრი საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

7. საპატიო უნივერსიტეტელის წოდების მინიჭებისას პირს გადაეცემა შესაბამისი სიგელი და უნივერსიტეტის მანტია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, საზეიმო ვითარებაში. დასაშვებია სიგელის და მანტიის გადაცემა მოხდეს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.